

ციური ახვლედიანი, მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.06>

ფრანგული ენის სემანტიკური ევოლუცია

საკვანძო სიტყვები: ფრანგული ენა, ლექსიკური შემადგენლობა, სემანტიკური განვითარება, მეტაფორა, მეტონიმია.

სტატიაში განიხილება ფრანგული ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების საკითხი, სიტყვათა მნიშვნელობათა გადააზრების შევიწროებისა და გაფართოების საშუალებით, რაც იწვევს ახალ სიტყვათა შექმნას.

ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების ცვლილებები ხდება ნებისმიერ ენაში, მათი ევოლუციის ყველა ეტაპზე. სემანტიკური განვითარების ყველაზე მეტად პროდუქტიული საშუალებებია სიტყვათა მნიშვნელობების შევიწროება და გაფართოება, მათი გადააზრება, მეტაფორიზაცია, მნიშვნელობის გადატანა მომიჯნავეობის მიხედვით. როგორც წესი, ძირითადი სემანტიკური ცვლილებები მიეკუთვნებიან ენობრივი ევოლუციის განსაზღვრულ პერიოდებს, რაც ჩანს ფრანგული ენის მაგალითზე. სიტყვათა მნიშვნელობების გაფართოებისა და შევიწროების შემთხვევები დიდად ახასიათებდა წინარეისტორიულ პერიოდს (III –VIII სს.). სიტყვათა მნიშვნელობების გადააზრება არის მუდმივი პროცესი, თუმცა საკმაოდ ნელი, მაგრამ 1789 წლის ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, ამ პროცესმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. XV–XVII საუკუნეების პოეტთა და მწერალთა სიტყვათშემოქმედებამ ფრანგულ ენაში შემოიტანა მრავალი ახალი ლექსიკური ერთეული მეტაფორული მნიშვნელობით. XVIII–XIX საუკუნეებში, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად, შეიქმნა მსგავსებისა და მომიჯნავეობის მიხედვით გადააზრებული ლექსიკა. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების შემთხვევები ხშირია არსებით სახელებსა და ზმნებში. ასე მაგალითად, ლათინურმა არსებითმა სახელმა **panarium**, რომელიც ეტიმოლოგიურად აღნიშნავდა «პურის კალათას (*panem*)», მოგვიანებით შეიძინა აზრი «კალათა (ნებისმიერი)». კლასიკური ლათინური **sationem**, თავდაპირველად აღნიშნავდა აზრს «თესვის პერიოდი», შემდეგ კი, ფრანგულ ენაში განვითარდა სიტყვად **saison** და მიიღო მნიშვნელობა «წელიწადის დრო». თანამედროვე **aventure** «თავგადასავალი, ავანტიურა» მომდინარეობს ეტიმოლოგიური მიმდევრიდან ზმნისა **advenire**, რომლის მნიშვნელობა იყო «მოსვლა, მომავალში მოხდენა». ლათინური ზმნა **adripare**, რომელიც აღნიშნავდა «ნაპირთან მიდგომას, მიცურებას», გადაიქცა ზმნად **arriver**, მნიშვნელობით «მოსვლა, ჩამოსვლა» და დაშორდა ეტიმოლოგიურ ძირეულ მორფემას, რომელშიც ფიგურირებს არსებითი სახელი **rive** «ნაპირი». ზმნამ **tornare** (>**tourner**), რომლის სპეციალური აზრია «მუშაობა სახარატო დაზგაზე, ჩარხზე», გაიფართოვა თავისი მნიშვნელობა «ტრიალი, ბრუნება, მობრუნება». ზმნა **cambiare**,

რომელიც იხმარებოდა კლასიკურ ლათინურში, ფრანგულში გარდაიქმნა ზმნად **changer** - ფართო მნიშვნელობით «შეცვლა, გაცვლა». მნიშვნელობათა შევიწროება ხდებოდა სიტყვა-თა სპეციალიზაციის შედეგად. ასეთი წარმოშობის მრავალრიცხოვანი მაგალითი მოგვცა ხალხურმა ლათინურმა და ძველფრანგულმა ენებმა, რომლებშიც ფართო მნიშვნელობის სიტყვებს შეეძლოთ ვიწრო სპეციალური აზრის შემენა გლეხების ენაში. მაგალითად, ზმნა **mutare**, რომლის მნიშვნელობა იყო «შეცვლა», განვითარდა ფორმად **muer** და აღნიშნავდა «გახუნებას», ზმნა **trahere** («გათრევა, გაჭიანურება») განვითარდა ზმნად **traire** და მიიღო მნიშვნელობა «წველა», ზმნამ **cubare (>couver)**, რომელიც ეტიმოლოგიურად აღნიშნავდა «წოლას, დაწოლას», შეავიწროვა თავისი მნიშვნელობა და გახდა «წიწილების გამოჩეკა», ზმნამ **ponere (>pondre)**, მნიშვნელობით «დადება, ჩადება», მიიღო მნიშვნელობა «კვერცხის დადება». საეკლესიო ენაშიც ასევე მრავალი მაგალითია მნიშვნელობის შევიწროებისა, რომლებიც წარმოიშვა ძველფრანგულ და საშუალოფრანგულ პერიოდებში. მაგალითად, სიტყვამ **moine**, მნიშვნელობით «მარტოხელა, მარტოსული», შეიცვალა აზრი და გახდა «ბერი, ბერ-მონაზონი», **Noël** – თავდაპირველად აღნიშნავდა «წლისთავს» და შეიცვალა სიტყვით «შობა», **pèlerine** «უცხოელი» შეიცვალა სიტყვით «მლოცვარე, სალოცავად მავალი», სიტყვამ **chasse** «ყუთი, უჯრა» შეიცვალა სიტყვით «კიბო» და სხვ. მნიშვნელობის მიხედვით გადატანა (მეტაფორიზაცია) ახასიათებდა ფრანგული ენის განვითარების ყველა პერიოდს. მაგალითის სახით, შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები. ხალხურ ლათინურში, სიტყვა **testa (>tête)**, თავდაპირველად, აღნიშნავდა «ქოთანს», კლასიკურმა ლათინურმა შეავიწროვა სიტყვა **caput** «თავი», ეტიმოლოგიური ლათინური **tibia (>tige)** «წვივის ძვალი» შეიცვალა მნიშვნელობით «ღერო, ყუნწი», **branca (>branche)** შეიცვალა მნიშვნელობა «ტოტი, ფეხი» და გახდა «შტო, რტო».

ძველფრანგულში გაჩნდა სიტყვები **prunelle** «თვალის გუგა» და **moineau** «ბელურა». პირველმა მათგანმა მნიშვნელობა შეიძინა წვრილ ქლიავთან (**prune+elle**) მსგავსებით, მეორემ კი – ბელურების ბუმბულთან მსგავსებით, რადგან იმ პერიოდში ბერები (**moine**) ატარებდნენ ბელურების ბუმბულების მსგავს სამოსს.

მრავალრიცხოვანი მეტაფორები წარმოიშვა სპეციალური ენებიდან. მაგალითად, საზღვაო ლექსიკიდან შემოვიდა სიტყვები **aborder** (აბორდაჟი, აბორდაჟზე აყვანა გემის > რაიმეს დაწყება), **échouer** (გემის გარიყვა>გასაჭირში ყოფნა, წარუმატებლობა); მონადირეთა ენაში გაჩნდა სიტყვა **ameuter** («ძაღლების ხროვის შემოსევა»>«ხალხის ხროვის შეგროვება»), **dépister** («მიკვლევა»>«გამომჟღავნება, გამოამჟღავნება»); სხვადასხვა თამაშებში გაჩნდა იმგვარი ლექსიკური ერთეულები, როგორებიცაა **échec** («შაჰი მეფეს» > «წარუმატებლობა, ჩავარდნა»), **recouper** («კარტის გახსნა»>«ცნობების, სიტუაციის შემოწმება») და სხვ. მეტაფორიზაცია ხშირად გამოიყენებოდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისას. მაგალითად, სიტყვა **cou** «კისერი» და **teste** «თავი» იხმარებოდა ანატომიაში სხვადასხვა ორგანოთა აღსანიშნავად: **cou-de-pied** «ფეხის აწევა», **coude lamatrice** «საშვილოსნოს ყელი», **teste du coeur** «გულის წვერი», **teste du fémur** «ბარძაყის ძვლის თავი» და ა. შ. მეორეს მხრივ, სამეცნიერო ტერმინებმა, მეტაფორული გამოყენების წყალობით, შეაღწიეს საერთო სახალხო სალიტერატურო ენაში. ასე მაგალითად, XVIII ს. ბოლოს აკადემიამ დაარეგისტრირა მრავალი სამეცნიერო ტერმინი: **chantier** «ქვესადგარი, ბოძი», **concentrer** «თავმოყრა, კონცენტრირება», **décomposer** «ელემენტებად დაშლა, დანაწევრება», **dissonance** «შეუწყობლობა, დისონანსი», **épidémie** «ეპიდემია», **foyer** «კერა, ოჯახი», **mouvement** «მოძრაობა, გადაადგილება», **réfléchir** «არეკვლა», **tendance** «ტენდენცია, მიდრეკილება» და სხვ.

მეტონიმის შემთხვევები (მნიშვნელობის გადატანა მომიჯნავეობის მიხედვით) საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო ფრანგული ლექსიკის ევოლუციის განმავლობაში. ენის განვითარების ადრეულ ეტაპებზე მოხდა სხეულის ნაწილების გამომსახველი ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა. მაგალითად, არსებითი სახელი **bucca (>bouche)** თავდაპირველად ნიშნავდა «ლოყას», შემდეგ კი მიიღო მნიშვნელობა «პირი»; სიტყვა **gorge (<gurga)** აღნიშნავდა «ყელს», შემდეგ კი დაემატა დამატებითი მნიშვნელობა «ქალის მკერდი». მოგვიანებით, მსგავსი მაგალითები გამოჩნდა ტანსაცმლის აღმნიშვნელ არსებით სახელებშიც. სიტყვა **cape > chape** აღნიშნავდა «ქუდს, კაპორს», შემდეგ მიიღო მნიშვნელობა «სუტანა, კაბა, სამოსელი მღვდლისა» (შუა საუკუნეებში კი ნიშნავდა კაპიშონს). შარფის აღსანიშნად იხმარებოდა ორი არსებითი სახელი – **cache-nez** «დამალე ცხვირი» და **cache – col** «დამალე კისერი», რომლებიც ასახავდნენ ტანსაცმლის ამ ნივთთა ფუნქციას. შემდეგ გაჩნდა სიტყვა **écharpe**, რომელმაც შეცვალა თავისი ისტორიული მნიშვნელობა «შეხვევა ბეჭით» და ამჟამად ნიშნავს თანამედროვე «შარფს». საკმაოდ ხშირად ხდებოდა მნიშვნელობათა ნაწილიდან მთელზე გადასვლა. მაგალითად, სიტყვა **drapeau**, შექმნილი სიტყვა **drap** - დან, აღნიშნავდა მკვრივი ქსოვილის სახეობას. მოგვიანებით, ეს სიტყვა გამოიყენეს იმ დროშების სახელებად, რომლებიც დამზადებულია ამგვარი ქსოვილიდან და დღეს მას აქვს მნიშვნელობა «დროშა, ალამი, ბაირალი». არსებითი სახელი **burel**, რომელიც ფონეტიკურად განვითარდა სიტყვად **bureau**, ასევე თავდაპირველად აღნიშნავდა ისეთ ქსოვილს, რომლითაც გადაკრული იყო საწერი მაგიდები. დროთა განმავლობაში, ასეთ მაგიდებს ეწოდა **bureau**, შემდგომში კი - იმ კონტორებმაც მიიღეს სახელწოდება **bureau**, სადაც ეს მაგიდები იდგა («ბიურო, კანცელარია»). მეტონიმის შემთხვევებიდან ერთ-ერთია საკუთარ სახელთა გამოყენება საგნების, კვების პროდუქტების, ხარისხთა სახელწოდებად. მაგალითად, სიტყვა **bougie** «სანთელი» მომდინარეობს ალჟირის ერთ-ერთი ქალაქის **Bougie** -ს სახელიდან, **faïence** «ქაშანური» – იტალიის ქალაქ **Faenza** -ს სახელიდან, **landau** «ლანდო» – გერმანული **Landau** - დან. არსებითი სახელი **dinde** «ინდაური» წარმოადგენს ელიპსის **poulet d'Inde** - დან «ინდური ქათამი», ქსოვილი **cachemire** -ის «ქიშმირი» სახელწოდება მომდინარეობს ინდოეთის ერთ-ერთი მხარის სახელიდან. ღვინისა და ყველის მრავალი სახეობის სახელწოდებები ასევე წარმოადგენენ მნიშვნელობის მეტონიმიურ გადატანას: **bordeaux, bourgogne, cognac, cham-pagne; camembert, gruyère, roquefort**. თანამედროვე ფრანგულში არსებობს მრავალი საზოგადო სახელი, რომლებიც წარმოიშვნენ გვარ-სახელებიდან. სახელწოდება ქსოვილის **batiste** «ბატისტი» მომდინარეობს მისი გამომგონებლის გვარიდან - ბატისტი (**Baptiste**), დასჯის იარაღი **guillotine** «გილიოტინა» მიღებულია იმ ადამიანის გვარიდან **Guillotin** – რომელმაც დააკანონა მისი გამოყენება, არსებითი სახელი **silhouette** - სილუეტი გაჩნდა XVIII ს. ფინანსთა მინისტრის სახელისაგან, სიტყვა **poubelle** წარმოიშვა იმ პრეფექტის გვარიდან, რომელმაც ბრძანა ნაგვის ყუთების დადგმა პარიზში. სიტყვათა მნიშვნელობების გადააზრების პროცესი ასევე დამახასიათებელი იყო 1789 წლის რევოლუციის ეპოქისთვისაც, როდესაც მრავალმა სიტყვამ შეიძინა ახალი აზრი. ასე მაგალითად, არსებითი სახელები **bourgeois** და **citoyen**, ნაწარმოებნი სიტყვებიდან **bourg** და **citet**, არიან ერთნაირი მნიშვნელობისა «ქალაქის მცხოვრები». XVIII ს. ბოლოს, მოხდა მათ მნიშვნელობათა დიფერენციაცია, რომლის შედეგადაც სიტყვა **bourgeois** გამოიყენება ბურჟუაზიისადმი სოციალური კუთვნილების აღსანიშნავად, სიტყვა **citoyen** კი - პატრიოტული მნიშვნელობისაა «მოქალაქე». არსებითი სახელი **révolution** თავდაპირველად იხმარებოდა ასტრონომიულ ტერმინად და აღნიშნავდა პლანეტის წრიულ მოძრაობას,

რევოლუციის წლებში კი შეიძინა მოულოდნელი, მკვეთრი ცვლილებების მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რასაკვირველია, ფრანგული ლექსიკის სემანტიკური განვითარება გრძელდება დღესაც და წარმოიშვება ახალი ტერმინები, დაკავშირებული კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან და ინტერნეტის ენასთან.

ლიტერატურა:

1. Bruneau, Ch. *Petite histoire de la langue française*. T. 1 – 2. Paris. Colin, 1958.
2. Brunot, F. *La pensée et la langue*, Paris, Colin, 1936.
3. Cohen, M. *Encore des regards sur la langue française*, Paris, Hachette, 1966.

Tsiuri Akhvlediani, Maria Burchak-Abramovici

Iv.Javakhishvili State University

Tbilisi, Georgia

Tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.06>

The Semantic Evolution of the French Language

Abstract

The article examines the enrichment of a language's lexical component through the processes of narrowing, broadening, or revising the meanings of words, which contributes to the creation of new words. The change in the meaning of lexical units occurs in all languages as they evolve. Major semantic changes typically occur during specific periods of linguistic evolution, as seen in the example of French. The narrowing and broadening of word meanings are characteristic of the prehistoric period (3rd–8th centuries). The revision of word meanings is a continuous process, albeit a slow one. In 1789, during the French bourgeois revolution, this process gained particular significance. The works of poets and writers in the 15th–17th centuries contributed to the development of many lexical units with new metaphorical meanings. In the 18th–19th centuries, the development of science and technology led to the creation of a new lexicon based on similarities or proximities. Broadening of word meanings occurs more frequently in nouns and verbs. The vocabulary of the church also contains many examples of words whose meanings have been narrowed or broadened, originating in Old or Middle French.

Metaphorization occurs at all stages of the development of French and is frequently used in the creation of scientific terminology. Scientific terms, through metaphorical usage, have entered popular literary language. Cases of metonymy were very frequent during the evolution of the French lexicon. In the early stages of the language's development, there were instances of changes in the meanings of certain body parts. Frequent examples of metonymy include the use of proper names to refer to objects, food, and qualities. Of course, the semantic development of the French lexicon continues today, with new terms emerging related to digital technologies and the Internet.

Keywords: French language, linguistic component, semantic development, metaphor, metonymy.